ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა

ისტორია

III ტური

X-XII კლასები

2022-2023 სასწავლო წელი

ინსტრუქცია დავალებებისთვის 1-3: *ერთმანეთს შეუსაბამეთ ორ სვეტში მოცემული ინფორმაცია. თითოეული დავალების მაქსიმალური შეფასებაა 4 ქულა.*

დავალება 1.

შეუსაბამეთ ფრესკა (კედლის მოხატულობა) ტაძარს, რომელშიც ის არის.

	ფრესკა		ტაძარი
A		1	ბეთანია
B		2	ვარძია

C		3	ლაგურკა
D		4	მაცხვარიში
		5	საფარა
		6	ყინწვისი

დავალება 2.

შეუსაბამეთ პორტრეტი ისტორიული პირის ვინაობას.

	პორტრეტი		ისტორიული პიროვნება
A		1	ანა ბოლეინი
B		2	იზაბელა I კასტილიელი

C		3	ეკატერინე მედიჩი
D		4	ელისაბედ I ტიუდორი
		5	მარი ანტუანეტი
		6	ალიეონორა აკვიტანიელი

დავალება 3.

შეუსაბამეთ ისტორიული პირი მხატვრულ ნაწარმოებებს, რომლშიც ის ერთ-ერთ მოქმედ პირად არის გამოყვანილი.

	ისტორიული პიროვნება		ლიტერატურული ნაწარმოები
A	მეფე რიჩარდ I ლომგული	1	ალექსანდრე დიუმას „დედოფალი მარგო“
B	მეფე ანრი IV ნავარელი	2	ვიქტორ ჰიუგოს „ოთხმოცდაცამეტი წელი“
C	იმპერატორი ფრიდრიხ I ბარბაროსა	3	ვოლფრამ ფონ ეშენბახის „პარცეფალი“
D	დიდი მაგისტრი ულრიხ ფონ იუნგინგენი	4	ვალტერ სკოტის „აივენჰო“
		5	უმბერტო ეკოს „ბაუდოლინო“
		6	ჰენრიკ სენკევიჩის „ჯვაროსნები“

ინსტრუქცია დავალებისთვის: 4 *ყურადღებით დააკვირდით ილუსტრაციებს და უპასუხეთ შეკითხვებს. დავალების მაქსიმალური შეფასებაა 7 ქულა.*

დავალება 4.

N1

N2

4.1. დაასახელეთ რომელი თანამედროვე სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა პოემებში აღწერილი მოვლენა, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილიც ასახულია ილუსტრაციებზე.

4.2. რა ხატოვანი გამოთქმა უკავშირდება ილუსტრაციებზე ასახული ბრძოლისას გამოყენებულ სამხედრო ხრიკს და რა შინაარსი იგულისხმება ამ გამოთქმაში?

4.3. დაასახელეთ, გადმოცემის მიხედვით, რა ერქვა მმართველს, რომელმაც წამოიწყო ილუსტრაციებზე ასახული ეპიზოდის შემცველი ხანგრძლივი ისტორიული მოვლენა და რატომ წამოიწყო მან აღნიშნული ამბავი?

4.4. დაასახელეთ რას ვუწოდებთ ისტორიულ ეპოქას, რომელშიც შექმნილია N2 ილუსტრაცია და ილუსტრაციაზე არსებული რა ინფორმაცია ადასტურებს თქვენ პასუხს?

ინსტრუქცია დავალებისთვის 5: თქვენს წინაშეა დავალების პირობა, რომელსაც გულდასმით უნდა გაეცნოთ და შემოთავაზებული ქვესაკითხების მიხედვით ჩამოაყალიბოთ თქვენი მოსაზრებები და არგუმენტები ქვემოთ წარმოდგენილ თემაზე.

- ***ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებად დაყოფილი.***
- ***ნაწერი არ გასწორდება, თუ მოცემული დავალება მთლიანობაში არაადეკვატურად არის გაგებული ან ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.***

დავალების მაქსიმალური შეფასებაა 6 ქულა.

დავალება 5.

XVI საუკუნის 30-იან წლებში ინგლისის მეფეს ჰენრი VIII-სა და რომის პაპებს შორის ურთიერთობა ძალიან დაიძაბა და მალე მათ შორის დაპირისპირებაც დაიწყო.

5.1. დაასახელეთ ამ დაპირისპირების ერთი კონკრეტული მიზეზი.

5.2. დაასახელეთ ამ დაპირისპირების ერთი სოციალ-ეკონომიკური შედეგი.

5.3. ვისთვის შეიძლება ყოფილიყო დადებითი შედეგის მომტანი ეს დაპირისპირება, გარდა თავად უშუალოდ მონაწილე პირებისა და მოიტანეთ არგუმენტი თქვენი მოსაზრების განსამტკიცებლად.

5.4. ვისთვის შეიძლება ყოფილიყო ეს დაპირისპირება უარყოფითი შედეგის მომტანი, გარდა თავად უშუალოდ მონაწილე პირებისა და მოიტანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

5.5. დაასახელეთ, ევროპის ისტორიიდან, ამ დაპირისპირების ანალოგიური მოვლენა და მოიტანეთ ორი ფაქტი ამ ანალოგიის დასადასტურებლად.